

ქართველი ქალი

მწუხარე და სევდიანი
სერზედიდგა ერთი ქალი,
ფერმიხდილსა მლელვარებით
შორს ეჭირა გზისკენ თვალი.

მას უნდოდა, რომ შეეტყო
მისი ქვეყნის ბედისწერა;
შიკრიკს მოჰკრა შორით თვალი
და დაუწყო გულმა ძგერა.

მიაძახა ახლოს მოსულს:
ნნუ დჰჰფარავს ნურაფერსო,
თორემ ბოლოს გაზღვევინებ,
გეფიცები ზეციერსო!ნ

წინ წამოდგა მონამ ბიჯი,
ტირილითა მოახსენა:
ნვაი ჩემს თავს!.. სჯობს დამეზას
ცოდვილი და მწარე ენა!

ნვხედავ, შენზედ უჩხავლია
შავბედიტა ყორანს შავსო!
რალა გითხრა მე საბრალომ
შენ, შვილების დამკარგავსო!ნ

ტალმა უთხრა: ნსუ!.. არ გკითხავ!
ჯერ მითხარი შენ ესაო:
თათრებს დარჩა გამარჯვება,
თუ ჩვენს ძლიერს მეფესაო?ნ

ნეგ რა ბრძანეთ?!. ქართველ ჯარსა
განა სძლევდა თათარიო?
თვით არ მივა, და მოსულ მტერს
რომ დაუხვდეს მზად არიო!

ნზარი დასცეს სერასკირსა,
არ მოსულა ჯერაც გონსა!
ქართველები ღმერთს მადლობენ,
ადიდებენ სოლომონსა!ნ

ქართველის ქალი პირჯვარს იწერს:

ნმადლი ზენა ქართველებსო!
აბა ახლა მომიყევი,
რაც გადახდა ჩემს შვილებსონ.

ნშენი პირმშო აღარა გყავს:
ალექსანდრე მოგიკლესო,
უმცროსი ძმა მიემშველა,
იმასაც დღე უმოკლესო.

ნთათრის ტყვიამ გაუხვრიტათ
ორთავ გულის ფიცარიო;
მოკვდნენ, მაგრამ სახელი კი
ნახეს დაუვიწყარიო!..ნ

დედას ცრემლი უნებურად
წამწამებზედ შეუჩერდა;
ნაცრისფერი გადაედვა,
გული ხშირად აუბგერდა.

მაგრამ ეს თქვა: ნგამიზრდია
ქართველ ქალსა ქართველის შვილი!
ეს ნაღველი დედისათვის
მწარე არის და თან ტკბილი!

ნმამულისთვის მიშობია
მისი ჭირის სანაცვლოდო;
ქართველ დედებს ვალად გვაძევს,
ამ ჭირს უნდა გავუძლოთონ.

ეს სთქვა და ისევ ჰკითხა:
ნსაშუალომ რაღა ჰქნაო?
ამიოგო ძმების სისხლი?
თათრის მძორის დასდგა ძნაო?ნ

ნარა, ჩემო ქალბატონო,
ვერ გავბედავ ტყუილსაო;
ეგ სახელი არ უნახავს
ქალაჩუნა თქვენს შვილსაო!

ნუფროსი და უმცროსი ძმა
მტრის რაზმში რომ გაჰკიოდა,
საშუალო ტყეში იწვა:
გულ-მუცელი ასტკიოდან.

ეს რომ ესმა, ქართველის ქალი
უცნაურად დაიღრიჯა,

ამოჰყარა ძუძუები,
მოთქმით თავი მოიგლიჯა:

ნვაი ლეჩაქს, შერცხვენილსა,
ვაჰ ძუძუებს გაკიცხულსო,
ვაი დედას, თითქმის პირშავს,
რა მახვილი მეცა გულსო!

ნარა ვსტირი იმ ორ შვილსა,
ომში მოკლულს გმირულადო,
ვიგლოვ ცოცხლად დარჩენილსა
უსახელოდ... ვირულადო!

1881 წ.